# შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო უნივერსიტეტი

# ა ლ ტ ე რ ბ რ ი ჯ ი

## საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი

დამტკიცებულია რექტორის 22/02/2021 წ. N ბ/1-01/07 ბრძანებით.

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.1. ეს წესი განსაზღვრავს შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) გამოცდების ჩატარების წესს.

1.2. წინამდებარე წესის მიზანია, უზრუნველყოს ერთიანი პროცედურით შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზება და ჩატარება.

**მუხლი 2. გამოცდის სახეები**

2.1. სასწავლო უნივერსიტეტში შუალედური, დასკვნითი, აღდგენითი და დამატებითი გამოცდები შესაძლებელია ჩატარდეს წერილობითი, ზეპირი, ელექტრონული ან შერეული ფორმით.

2.2. წერითი გამოცდა ტარდება სასწავლო აუდიტორიაში, ან/და ელექტრონულად რომლის დროსაც სტუდენტს ეკრძალება ნებისმიერი დამატებითი მასალის გამოყენება. ლექტორის მითითებით, სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს დამხმარე მასალა. გამოცდის ხანგძლივობა არ აღემატება 3 საათს.

**მუხლი 3. გამოცდების ჩატარების ვადები და პროცედურა**

3.1 სასწავლო შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების ვადები განისაზღვრება მიმდინარე სასწავლო წლის აკადემიური კალენდრით;

3.2. გამოცდის პროცესზე მონიტორინგს ახორციელებს აღნიშნული საგნის ლექტორი ან ადმინისტრაციის თანამშრომელი.

3.3 გამოცდის დაწყების და დასრულების დრო, წინასწარ არის განსაზღვრული, რომლის ამოწურვის შემდეგ, უკლებლივ ყველა სტუდენტი აბარებს ნაწერს ლექტორს/დამკვირვებელს.

3.4 აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტის საგამოცდო ნაშრომი აღარ მიიღება.

3.5 დაუშვებელია სტუდენტის მიერ გამოცდაზე დაგვიანება არაუმეტეს 15 წუთისა, რის შედეგად სტუდენტი არ დაიშვება გამოცდაზე. დაშვებულ ფარგლებში დაგვიანების შემთხვევაში, სტუდენტს არ გაუგრძელდება გამოცდისათვის განსაზღვრული დრო.

3.6 გამოცდაზე კატეგორიულად იკრძალება გადაწერა ნებისმიერი მასალის გამოყენებით (თუ წინასწარ არ არის ნებადართული ამ მასალის გამოყენება) ან გადაწერა სხვა სტუდენტის ნაშრომიდან. დაუშვებელია სტუდენტის მერხზე სხვა სტუდენტის ნაშრომის მოთავსება.

3.7 აღნიშნული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება 0 ქულა.

3.8 გამოცდის მსვლელობისას დაუშვებელია საუბარი, გადალაპარაკება, აუდიტორიის უნებართვოდ დატოვება, სტუდენტს არ აქვს უფლება გამოიყენოს მობილური ტელეფონი. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია დატოვოს გამოცდა, რის საფუძველზე მას გაუფორმდება 0 ქულა.

3.9 სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს ლექტორის/დამკვირვებლის გადაწყვეტილებას მისი გამოცდიდან მოხსნის თაობაზე

3.10 საგამოცდო შეფასების კრიტერიუმები აღწერილია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. ლექტორი ვალდებულია გამოცდა შეაფასოს არა უგვიანეს 2 კვირის ვადაში

**მუხლი 4. გამოცდის შედეგების გასაჩივრება**

4.1 საინფორმაციო სისტემაში ნიშნების შეტანის შემდეგ, 3 დღის ვადაში, სტუდენტი უფლებამოსილია, ლექტორთან ერთად განიხილოს საგამოცდო ნამუშევარი და მიიღოს უკუკავშირი.

4.2 იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი არ ეთანხმება უკუკავშირის შედეგს, 5 დღის ვადაში, იგი წერილობითი განცხადებით მიმართავს დეკანს, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ქმნის კომისიას, კომისიის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი დარგის სპეციალისტი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი სკოლის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი. კომისია უზრუნველყოფს საგამოცდო ნამუშევრის (მისი ნაწილის) ხელახლა შესწორებას. ხელახალი გასწორების შედეგი საბოლოოა;

**მუხლი 5. შუალედური/დასკვნითი გამოცდის აღდგენის პროცედურები**

5.1 სტუდენტს შეიძლება მიეცეს შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდის აღდგენის უფლება. გამოცდის აღდგენა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის განცხადების საფუძველზე, მხოლოდ მაშინ, თუ გაცდენა მოხდა საპატიო მიზეზით, განმტკიცებული შესაბამისი დოკუმენტით.

5.2 სტუდენტის მიერ შუალედური/დასკვნითი გამოცდის გაცდენა საპატიოდ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ გადაუდებელ, შემთხვევებში: ჯანმრთელობის მდგომარეობა, მივლინება, ქორწინება ან განქორწინება, ჯვრისწერა, უბედური შემთხვევა, მშობიარობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება.

5.3 აღდგენით გამოცდაზე მიღებული ქულა ჩაითვლება შუალედური/დასკვნითი გამოცდის ქულად. აღდგენითი გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტი ვეღარ ისარგებლებს საპატიო გამოცდაზე გასვლის უფლებით.

**მუხლი 6. დასკვნით და დამატებითი გამოცდაზე გასვლის უფლება**

6.1 გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელიც გადალახვს შეფასების/შეფასებების მინიმალურ ზღვარს, რომელიც დგინდება სასწავლო კურსის სილაბუსით.

6.2 დასკვნითი გამოცდის დამატებით გამოცდაზე სტუდენტს გასვლის უფლება აქვს, თუ მას უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება;

6.3 დასკვნითი გამოცდის დამატებით გამოცდაზე სტუდენტს გასვლის უფლება აქვს, თუკი შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამი სულ მცირე 51 ქულაა, თუმცა სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

6.3 საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, Fx-ის მიღების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია, დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ეს ვალდებულება არ ვრცელდება კვლევითი - სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

6.4 სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება განიხილება დამოუკიდებლად.
დამატებითი გამოცდის შედეგი არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
6.5 დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

**მუხლი 7. დასკვნითი დებულებები**
7.1. წინამდებარე წესი მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
7.2. წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.
7.3. წინამდებარე წესი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.